№ 244. 19 ნოემბერი, ოთხშაბათი. 1866—1880 19 ნოემბერი, ოთხშაბათი. № 244

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათის გარდა

რედაქცია
ალექსანდრეს ბრილიანტზე, თ. ივ. კ. ფეხრანსეს სახლეში, ალექსის ქვეშოთ.

ხელის-მოწერა
მიიღება „დროებაში“ „ოვერიის“ რედაქციაში. [illegible] ჯოჯორებთოთვის: Въ Тифлисѣ, въ ре[illegible] „Дроэба“ „Иверіи“

„დროება“-„ივერიის“ ფასი
წელიწადში. 6 თვეს. 3 თვეს
დროება“-„ოვერია“ ერთად. 13 მან. 7 მან. 4 მ.
ცალკე { „დროება“. . . . . 9 მან. 5 მან. 3 მ.
{ „ოვერია“. . . . . 6 მან. 4 მან. 2 მ.
ალექსანდრია, „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ოვერიისა 2 მან.

ფასი განცხადებისა
დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ნაკლებ-ასოზე [illegible] რულითასოზე ნახევარი კაპ. [illegible] ზე შეთხვედ კაპ.

თუ ხანგრძლივ ანგარიშზე, რედაქცია [illegible] შეამოკლების დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაბეჭდილ წერილს რედაქცია უკან [illegible] ტოვებს.

განცხადება [illegible] ქართულს, რუსულს [illegible] ზედ.

ხელის-მოწერა

ბრუსსელს

სახელმწიფოს პრემიისათვის, რომელიც ფუძნდება საქართველოს ისტორიიდამ საუკეთესო თხზულებათთვის.

სიაა მეორე

	მან.	კაპ.
ბ. ბიორგი ქართველიშვილმა შემოიტანა რედაქციაში — — — — —	50	„
ადრინდელი იყო — —	67	70
სულ რედაქციაში არის	117	70

—

ზოგიერთი პირები გვთხოვენ გამოვაცხადოთ თუ როგორ მიდის მარი ბროსსეს პრემიისათვის ხელის-მოწერა და ან სად შეიძლება თფილისს გარდა ხელი მოაწეროს კაცმა ამ კეთილ საქმის აღსასრულებლად. ამის გამო საჭიროდ ვრაცხთ გამოვაცხადოთ შემდეგი:

თფილისში თვითონ „დროება-ივერიის“ რედაქციაში შეიძლება ხელის-მოწერა და თფილისს გარეშე კი რედაქციამ შემდეგ ქალაქებში გაგზავნა ამ საგნისათვის ხელ-ჰოსაწერი ბლანკები:

ქუთაისში: პოველად - სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსს ბაბრიელს, ქალაქის-თავს ლ. ნ. ასათიანს და საადგილ-მამულო ბანკის გამგებელს ნ. ბ. ღოღობერიძეს.

გორში: ქრისტეფორე იოსების-ძეს მამაცაშვილს.

ახალციხეში: მაზრის უფროს ნ. ი. ალექსეევ-მესხიევს.

სიღნაღში: ადგილობრივ მომრიგებელ მოსამართლეს თ. ს. ბ. წერეთელს.

ფოთში: ელისბარ სტ. ბაბალოვს.

ოზურგეთში: თ. გრ. დავ. ბურიელს.

დუშეთში: ადგილობრივ მაზრის უფროსის თანაშემწეს ქვალიევს.

ბათუმში: ლუბერნატორის ადანაშემწეს თ. ნ. ერისთავს.

ყვირილაში: ბლაღ.-მღვ. მ. დავ. ღამბაშიძეს.

ვინც ამ ქალაქებში ამ საზოგადო საქმისათვის რისამე შეწირვასა და ხელის მომართვას ისურვებს, შეუძლიან ზემოხსენებულ პირთ მიმართოს.

ადგილ-მამულის საქმე რაჭაში

ტფილისი, 18 ნოემბერს.

ქვემო მოყვანილი წერილი მივიღეთ ჩვენ ქუთაისიდამ ერთის სარწმუნო პირისაგან, რომელმანც კარგათ იცის, ერთის მხრით, რაჭის მიწა-წყლის ვითარება და, მეორეს მხრით, სასამართლო კანონები და წესები. როგორც დაინახავთ, ის ისეთს ამბავს იწერება, რომელიც საყოველთაო ყურადღების ღირსია და, როგორც თვითონ ამბობს, თუ ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო მამულების გამგებლებმა თავიანთ განზრახვის სისრულეში მოყვანა მოახერხეს, „ხალხში დიდი დრტვინვა და უკმაყოფილება მოხდება“.

უფრო დაწვრილებით ამ საგანზე შემდეგ ნომერში მოვილაპარაკებით ჩვენს მკითხველებს; ახლა კი ვსთხოვთ, ამ წერილში მოხსენებული ეს გასაკვირველი ამბავი წაიკითხონ:

„ბატონო რედაქტორო!

„რაჭიდამ ჩამოაწია ქუთაისში ერთმა საზარელმა ამბავმა: თითქმის მთელის იქაურის გლეხ-კაცობისათვის ხრიკით და გაიძვეროობით ჩამოურთმევიათ, ფორმალურად მაინც, სრულიად მათი მიწა-წყალი. აი რა ნაირად:

„ამ უკანასკნელს დრომდის სახელმწიფო მიწა-წყლის მართველობა და მასთან უმეტესი ნაწილი მსაჯულებიც ფიქრობდენ, რომ გლეხის საკუთრებას შეადგენს მარტო ის მიწა, რაზედაც მას აქვს კანონიერი საბუთი; კანონიერ საბუთებათ კი ირიცხება მხოლოდ რუსეთის სასამართლოში დამტკიცებული დოკუმენტები. ამასგარდა, თუ გინდ მეფის გრამოტაც იყოს, სრულიად უეჭველი, თუ ის არ ყოფილა წარდგენილი და დამოწმებული იმერეთის დროებით სამმართველოში, იმას არ იწყნარებენ დოკუმენტათ.

„და რადგან ვლეხს კი არა, თავადაზნაურსაც ბევრს არაფის გაჩნია ამისთანა ქაღალდები, გლეხებს ჩამოერთვათ სრულიად მთები და ტყეები. და მათ სახნავ-სათესს უყურებდნენ როგორც დროებით მათ სარგებლობაში მყოფს სახელმწიფო ქონებას.

„მაგრამ ამას გლეხ-კაცები ვერა გრძნობდნენ, დროებით, რადგან მათ ხელშიც რჩებოდა მიწა-წყალი, ვინემ ზოგიერთების მამული არ დაჭირდებოდათ ხოლმე დასაცლელად და სხვისთვის საბოძებლად.

„ახლა მოხდა ერთი შესანიშნავი ამბავი, რომელმაც გამოაფხიზლა და დააფაცურა ხაზინის მოურავები:

„აქ არის ერთი ღარიბი აზნაური ალავიძე, რომელსაც შეურთავს გადაშენებულის სახაზინო გლეხის ქალი ამ ქალს ჰქონია მიწები ქუთაისიაც, ახლა კარგათ ღირებულნი, და ამ მიწებს მოპოტინებია ხაზინა. ამაზე დაუწყია საჩივარი მის ქმარს ცოლის ვექილობით, და, რასაკვირველია, წაუგია აქ საქმე, მაგრამ ერთის სასამართლოდგან მეორეში გადუტანია, მეორედგან მესამეში და ამ ნაირად მიუწევია სენატამდის, ძველის წესით. სენატსაც უარი უთქვამს.

„მაგრამ თქვენ კარგათ მოგეხსენებათ რომ იმერელს ასე ადვილად ვერ დაღალავს კაცი საჩივრებით: ამ ქვეყანაზე რომ დაუბშო სუყველა კარები, იმ ქვეყანას წავა ის საჩიველელად და ალავიძესაც თითქმის ასე უქნია:

„რაღაცა ნაირად ხელმწიფესთვის მიუცია ქაღალდი, კომმისია არისო პროშენიებისაო—იქ, რომ ასე-და-ასე მიქნესო, მარჩობენ უსამართლოთაო.

«დროების» ფელეტონი, 19 ნოემბ.

შარლოტა კორდეს საქმე.

(„დროება“ № 242, 243. დასასრული)

წაიკითხეს ორი წერილი ბრალდებულის შ. კორდესი; ერთი დეპუტატ ბარბარუსთან მიწერილი და მეორეც თავის მამასთან.

ბარბარუს.

სამშაბათი 16, საღამოს 8 საათი.

„თქვენ გინდოდათ შეგეტყოთ ჩემი მოგზაურობის ამბავი. აროფერს არ დავიმალავთ, ყველაფერ ნამდვილად გეტყვით.

„ჩემთან ერთად მოდიოდნენ გზაში ვიღაც მოგზაურები, რომელნიც იმ წამსვე მთიულ გულ-ღია მცხოვრებლებად ეიცან. მალე მომაბეზრა მე თავი ამათმა მასლაათმა და ქცევამ; დავანებე თავი და დავიძინე. როცა გამოვიღვიძე, ერთმა ამ ბატონთაგანმა, რომელსაც როგორც ეტყობა, მძინარე ქალები ჰყვარებია, მითხრა, რომ მე მამა-თქვენს კარგათ ვიცნობდიო. როცა ვკითხე, ვინ იყო მამა-ჩემი-მეთქი, ისეთი ვიღაც დამისახელა, რომელიც არც მინახავს ჩემ დღეში და არც იმის სახელი გამიგონია. ბოლოს ამ კაცმა იმით გაათავა, რომ ცოლობა მთხოვა! ბადამეკიდა, ახლავე წავიდეთ მამა-თქვენთან და ჯვარის დაწერის ნება მოგვცესო!

„ყოველ ლონის-ძიებას ხმაროობდნენ ეს ჩემი თანამოგზაურები, რომ შეეტყოთ—სად, რომელ სასტუმროში მექნება მე ბინადრობა პარიჟში. მაგრამ მე, რასაკვირველია, არ უთხარი, და ამ შემთხვევაში ეხელვმძღვანელობდი ჩემის ძვირფასის და დიდებულის მოძღვრის რეინალის რჩევით: **მტარვალს არასოდეს არ უნდა უთხრას პატმა სიმართლე!**

„პარიჟში მე ჩამოვხტი ძველი-ავგუსტინების ქუჩაზე, „ბანგების“ სასტუმროში. იმავე წამს მოვეძებნე თქვენი მეგობარი დიუპერე. არ ვიცი „საზოგადო მშვიდობიანობის კომიტეტმა“ საიდამ შეიტყო, რომ მე იმასთან ლაპარაკი მქონდა. თქვენ იცნობთ ამ დეპუტატის მხნე გულს: ჭეშმარიტება უთხრა იმან კომიტეტს. მეც დავამტკიცე იმის ჩვენება.

„წარმოიდგინეთ, ფუშუ დაჭერილია საპყრობილეში! იმას აბრალებენ ჩემს საქმეში (მარას მოკვლაში) მონაწილეობის მიღებას! ამას აბრალებენ ისეთ კაცს, რომელმანც არც კი იცოდა—ვარსებობდი მე დედა-მიწაზე, თუ არა!

„შაბამ და ლეჟანდრმა ჩამომართვეს ჩვენება. შაბო ნამდვილ გიჟსა გვანდა. ლეჟანდრი მარწმუნებდა, რომ იმ დილას, რა დღესაც მე მარა მოვკალი, ჩემთან ენახეო. ჩემ დღეში არ მინახავს ეს კაცი. ლეჟანდრი მე ისეთ მძლავრ და ნიჭიერ კაცად არ მიმაჩნია, რომ იმან თავის ქვეყნის მტარვალობა მოახერხოს, და რად განვიზრახავდი იმის მოკვლას! ამას გარდა განა ყველა ცუდი კაცის მოკვლა შემეძლო მე?!

„ძალიან გაჯავრებული არიან, რომ ჩემი **ბოროტების** თანამონაწილე ვერავინ მოუნახავთ, რომ მარტო ერთი ქალი უნდა დასაჯონ ამ **დიდებულის პატის** მოკვლისათვის! დიდებულის კაცის! ამ კაცის სახელი სამუდამო სირცხვილად უნდა ჩაითვალოს კაცობრიობისათვის. მს (მარაჰ) იყო ერთი გაბრაზებული მხეცი, რომელიც მუდამ იმას ცდილობდა, რომ ხალხში უწესობა, ჟლეტა მოეხდინა, ძმა ძმას დასძგერებოდა, შინაური ბრძოლა აეტეხა და ამ ნაირად მთელი საფრანგეთი დაეღუპა, მთავინთქა. ახლა კი—გაუმარჯოს მშვიდობიანობას!

„მადლობა ღმერთს, ის (მარაჰ) შთამომავლობით ფრანცუზი არ იყო. ბევრს სწერენ და ამბობენ იმ სიტყვებზე, რომელიც თავის სიკვდილის წინ თითქო წარმოსთქვა იმან. სულ ტყუილია. როდესაც მე ჩამოვთვალე თქვენი სახელები, თქვენი, რომელნიც პარიჟიდამ ქაენაში წახველით, მარამ სთქვა:

„— რამდენიმე დღის შემდეგ ყველა იმათ გილიოტინათ თავს გავაგდებინებ პარიჟში!“

ბამოსულა ბრძანება, რომ სენატის დეპარტამენტების კრებამ გადასინჯოს საქმეო. იქ გაუსინჯავთ და ორს სამს ღეთიანს სენატორებს უთქვამს, რომ გლეხიც ისეთი კაცია, როგორც სხვაო. თუ სხვას არ ართმევენ იმ მიწებს რაზედაც კანონიერი ნასყიდობა არა აქვსთო, გლეხს რას ერჩიანო? ხაზინამ ის ჩამოართვას რაც იმას მისთვის მიუბარებიაო და თუ იმას ხაზინამ რამე ათხოვა და მიაბარა, ეს თვითონ ხაზინამ უნდა დაამტკიცოსო. იმას უნდა ჰქონდეს სიები თავის მიწა-წყლის და ხელ-წერილები გლეხებისა და სხვებისაგანაო. ბლეხმა ეგებ მეზობელს წაართვა მიწა ან შინაურულად იყიდაო და რას ერჩითო!..

„ეს განჩინება ხაზინის პროტესტით გადასულა სახელმწიფო რჩევაში: იმასაც ასე განუსჯია საქმე და ხელმწიფე იმპერატორს დაუმტკიცებია ეს აზრი.

„ახლა, სანამ ეს ხმა გავრცელდებოდეს, მოუხდენიათ განკარგულება, გლეხებს ჩამოართვან ხელ-წერილები, რაც ჩვენ მიწა-წყალი გვაქვს, მობარებული გვაქვს ხაზინიდგანაო და რადგანაც მიწა რაჭაში უფრო ძვირია სხვაზე, იქიდგან დაუწყიათ საქმე. **პოლიციის ბრძანებით, მაძასხლისებს აუწერიათ ვისაც რა აბადია მიწა-წყალი და მერე ცალ-ცალკე ჩამოურთმევიათ ეგელასთვის ხელ-წერილი, რომ ესა-და-ეს მიწა-წყალი მიგიღეო და მიგიბარეთ სამუშაოდაო!**

„უმეტესი ნაწილი გლეხები გაუბრიყვებიათ მითი, რომ მალე იქნება საზოგადოთ მიწების აწერა და ვისაც ქალალდი არ ექნება, სუყველას დაგეკარგებათო. ახლა კი, რადგან თქვენი მიწა-წყალი აწერილი იქნება და მოხსენებული—ვის რა გაქვსთ—თუ ვინმე შემცილე გამოჩნდა, თვით ხელმწიფე გამოგესარჩლებათო.

„ზოგიერთებს აუღიათ ეჭვი; აქ სწორეთ რამე ეშმაკობა უნდა იყოსო და უარი უთქვამს ხელის-მოწერაზე თავ-და-პირველ; მაგრამ ესენი სასტიკად შეურისხავთ: ოც-და-ოთხს საათში ციმბირში გაგზავნას დაქადნიან, თქვენ ხელმწიფის მოღალატენი ხართო, და იმათაც მოუჯღაბნიათ ხელი შიშითა და ცახცახით...

„ბლეხმა კი არა ჩვენში იურისტებმაც, მგონია, კი არ იციან თავის კანონიერი ვალი და უფლება. ხშირათ, მართლა, ჰყრიან საპყრობილეში და ციმბირშიაც გზავნიან პოლიციის წინაალმდეგობისათვის და როგორ უნდა გაარჩიოს კაცმა როდის სდგას ის თავის კანონიერს უფლებაზე და როდის ბოროტ-მოქმედებაზე...

„ამ ნაირათ **ჩამოერთოჯა საგუთრება, თითქმის, მთელ რაჯის სახელმწიფო გლეხებს.**

„ბასაკვირველი ეს არის, რომ სახელმწიფო გლეხებს მიჰყვენ თუ მიაყოლეს თურმე ძველად ბატონებისაგან თავ-დახსნილებიც. ძველი სუდები არა სწერდნენ, რომ ეს გლეხი არის განთავისუფლებული ამა-და-ამ მიწებით. ისე, ყრუთ გამოყავდათ, რომ მებატონემ გაუშვა გლეხი თავის ყოფა-ცხოვრებითო: მიწით, წყლით, საბეგრით და უბეგროთო. მაგრამ ამ გვარ საბუთებს ხაზინა არ სჯერდება, და სუდებიც ხშირად იმას ესარჩლებიან: რატომ სულ ნაჭერ-ნაჭერათ არ არის გამოყვანილი თქვენი მიწები ახალის კანონისაებრო. ასე რომ ძველის ცუდის კანონების მსხვერპლად და პასუხის-მგებლათაც საწყალი გლეხი გახდა. რასაკვირველია, ვისაც კარგი პატრონი გაუჩნდა, ან მადლიანი მოსამართლე, მოიგო საქმე. მაგრამ უფრო ხშირად აგებდნენ და ეკარგებოდათ სულის სადგელი ადგილ-მამული.

„მე მგონია, რომ ეს განკარგულება არ იყოს უმაღლესის მმართებლობისაგან. რაც გლეხს აქვს, მაინც სულ ხელმწიფის არ არის! მაგრამ ეს საქმე დიდს დრტვინვას მოახდენს ხალხში, თუ არ გადაკეთდა. ამას გარდა მე არა მგონია, რომ სასამართლომ შეიწყნაროს ამ ნაირი ხელ-წერილიც, როგორც სრულიად უცნობელად და უგრძნობელად გლეხისგან მოცემული. ამ ნაირს ქალალდს ყალბი ქალალდის თვისება აქვს.“

ახალი ამბები

ჩვენ შევიტყვეთ, რომ ამ დღებში, მოთხოვნით, თფილისში ჩამოსულა ართვინიდამ სომეხ კათოლიკეების ეპისკოპოსი მ. ზახარიანი, რომელსაც ამბობენ, მთელ კავკასიის კათოლიკეების ეპისკოპოსად ნიშნავენ. ქითოლიკეებს, რომელნიც ზოგიერთ პატრების უწესოებით იჩაგვრებიან, უხარიანთ ეს გარემოება, რადგან იმედი აქვსთ, რომ დღეის შემდეგ საეკლესიო საქმეები ცოტა მაინც რიგში ჩავარდება და ყველაფერთ გაიგებსო, სარატოვში ჩვენ ვერაფერი მოვახერხეთ და იქიდამ ეპარხიის გამგეობა რიგიანად ვერ ასრულებს თავის მოვალეობასაო.

* * *

ჩვენ შევიტყვეთ, რომ „კაცია-ადამიანის“ ავტორი ამ მოთხრობას კომედიათ აკეთებსო.

ამბობენ აგრეთვე, რომ ერთ ყმაწვილ-კაცს განუზრახავს დრამად გადაკეთება ბრ. რჩეულოვის ისტორიულ მოთხრობის „ანუკა ბატონიშვილისა“.

* * *

ახალციხიდამ გვწერენ, რომ ძველ-ქალაქის ვაჟების სკოლა საცოდავ მდგომარეობაში არისო. სკოლაში სწავლობს ვიდრე სამოცი ყმაწვილი და ყველა ისე ღარიბის შვილები არიან, რომ ზოგს იმდენი ლონის-ძიებაც არა აქვსთ, თავისათვის საჭირო ქალალდი და წიგნები იყიდოსო. მასწავლებელსაც ეკლესია აძლევს ჯამაგირსაო და რადგანაც ეკლესიას შეძლება არა აქვს ხელ-ფასიანად მასწავლებლებს ვერ შოულობენო.

თუმც ამ ეკლესიას დიდი შეძლება ჰქონდა, მაგრამ იქაურმა გამოჩენილ ბატონებმა სულხათ აიღეს, რომ სარგებელით მიეცათო და ახლა სარგებელს თქვენი ჭირი წაუღია, თავნსაც სჭამენ და იმდენათ სვინდისდაკარგულები არიან, რომ ამ ნაირ მდგომარეობის დანახვა არ უნდათ და თავიანთვის არხეინათ არიანო.

ერთი მადლიანი კაცი არ ჩნდება, რომ ამისთანა საქმის მოთავე გახდეს და ამ ნაირი შეწუხებიდამ დაიხსნას იმდენი ახალ მოსწავლე ყმაწვილები თუ მათი მშობლები და ამ ნაირად დაეხმაროს გაღარიბებულ ეკლესიას და ხალხსაო.

* * *

ოზურგეთიდამ გაზ. „კავკაზში“ იწერებიან:

„აქაურ განათლებულ პირებს განზრახვა ჰქონდათ, რომ ჩვენს ქალაქში საქალებო სკოლა გაეხსნათ. დიდის აღტაცებით დაიწყეს ეს საქმე: 1000 მანეთამდინ მოაგროვეს. უფრო მეხურვალე მონაწილეობა ამ საქმეში მიიღეს კ-ნა სოფიო ბურიელისამ და ბატ. ა. ფ. მიზგალოვმა; პირველი ამათგანი წრის თავსმჯდომარედ იყო არჩეული და მეორე ხაზინადრად.

„მას შემდეგ კარგი ხანი გავიდა. ბ. მიზგალოვი ვლადიკავკაზში გარდაიყვანეს. საქალებო სკოლაზე ხმაც ისმის. ოზურგეთის ზოგიერთი მცხოვრებლები ჰკითხულობენ ახლა; სად შთაინთქა ამ სკოლისათვის მოგროვილი ფული და ეს განზრახული კეთილი საქმე მოვა ოდესმე სისრულეში, თუ არაო.“

* * *

თფილისში გამოვიდა ერთი ახალი რუსული წიგნი, რომელიც ჩვენს ქვეყანას შეეხება და რომელსაც ჰქვიან სახელად „**Наше общество и его**

„ამ უკანასკნელ სიტყვებმა გარდაწყვიტა იმის ბედი.

„თუ როგორ მოხდა ეს საქმე, როგორ მოვკალი,—ამაზედ არაფერს არა გწერთ; ყველაფერს გაზეთებიდამ შეიტყობთ. უნდა გაგიტყდეთ, რომ მარას მოკვლა ყველაზე უფრო იმან გამაბედვინა, რომ ამ საქმისათვის რამდენიმე ათასი კაცი მოგროვდა მანდ 7 ივლისს პარიჟში წამოსასვლელად. მე ვფიქრობდი: რამდენი ახალ-გაზდა კაცი უნდა გაფუჭდეს, რამდენი სისხლი უნდა დაიღვაროს-მეთქი ამ ერთი მახინჯი სულისათვის! ბანა ამის ღირსი იყო ის? ერთი ქალიც ეყოფა-მეთქი! მე მინდოდა თვით ნაციონალურ კონვენციაში მომეკლა ის, იმ ადგილას, სადაც იმან მომეტებული ნაწილი თავის ბოროტებისა ჩაიდინა; მაგრამ, საუბედუროთ, ის პარლამენტში აღარ დაიარებოდა.

„პარიჟში ვერ გაუგიათ, ვერ წარმოუდგენიათ—თუ როგორ შეიძლება, რომ უბრალო ქალმა, რომლის სიცოცხლე არაფრად არ არის გამოსადეგი, თავის სიცოცხლე სამშობლოს შესწიროს. მეგონა, იმ წამსვე მომკლავდა გაბრაზებული ხალხი; მაგრამ დამიხსნეს, მიპატიეს. მე მაწუხებდა განსაკუთრებით ზოგიერთ ქალების შეწუხება, როცა გაიგეს, რომ მარა მოვკალი. მაგრამ ვინც სამშობლოს თავს სწირავს, იმას რამდენიმე პირის შეწუხება გულს არ უნდა უღელვებდეს.

„ღმერთმა ინებოს, რომ ჩვენს წვალებულს ქვეყანაში მალე მშვიდობიანობა და თანხმობა დამყარებულიყოს! მე სხვა არა მინდა-რა. ეს ორი დღეა, რაც მე გულ-დამშვიდებითა ვარ: ჩემი ქვეყნის ბედნიერება ჩემი ბედნიერებაა!

„მე ბაწუხებს მხოლოთ, რომ ვაი თუ მამა ჩემს დაუწყონ ტანჯვა, რომელიც უფისოთაც უნდა იტანჯებოდეს. მამას მივწერე, რომ საფრანგეთში არეულობის მეშინიან და ამის გამო ინგლისში მივდივარ-მეთქი. იმედი მქონდა, ისე მოვკლავდი მარას, რომ ჩემს სახელსა და გვარს ვერავინ შეიტყობდა. ბთხოვთ თქვენ და თქვენს ამხანაგებსაც, დაიფაროთ მამა ჩემი, თუ რამე შეწუხება მიაყენონ.

„იმ ერთის კაცის მეტი ჩემს სიცოცხლეში არავინ მძულებია და მოვკალი. საუბედუროთ, ძალიან ცოტაა ჩვენში იმისთანა პატრიოტები, რომელთაც სამშობლოს სიკეთისათვის თავის თავის სიცოცხლის შეწირვა არ ეზოგებოდეს; მომეტებული ნაწილი თავ-მოყვარეები არიან.

„რომ არ მომწყინდეს მარტოობით, ჩემს სატუსაღო ოთახში მუდამ ორი ჟანდარმია! ღღისით კიდევ არაფერი, მაგდენად არ მიშლიან; მაგრამ ღამე კი სულ სხვაა. ვითხოვე, რომ ღამე მაინც მომაშორონ ეს ჟანდარმები. არ შეიწყნარეს ჩემი თხოვნა. ეს სულ შაბოს საქმე უნდა იყოს: მხოლოთ იეზუიტებს შეუძლიანთ ასე წვალება ადამიანისა.

„დაჭერის დროს მე მქონდა ჯიბეში ადრესი ყველა იმ პირებისა, რომელთაც ჩვენს საწყალს, ტანჯულს საფრანგეთში მშვიდობიანობის დამყარება ჰსურს. ეს ქალალდი წაიღეს და ვინ იცის, რა მნიშვნელობას მისცემენ. მინდოდა ქალვადოს დეპარტამენტისათვის ჩემი სურათი მეჩუქებია, მაგრამ მთავრობამ ნება არ მომცა.

„ჩემი ჩვენება და საზოგადოთ პროცესსი გაზეთებში იქნება დაბეჭდილი და, რალა თქმა უნდა, წაიკითხავთ.

„თუ ვინმემ გთხოვოს ამ წიგნის წაკითხვის ნება, იმედი მაქვს, არავის დაუმალავთ, გთხოვთ ყველას წააკითხოთ თქვენს მეგობრებს.

„ჩემის საქმის გარჩევის დროს დამცველი დამჭირდება. რობესპიერს ან შაბოს უნდა ვთხოვო, რომ იკისრონ ჩემი დაცვა სასამართლოში.

„ოტაოდენი ფული დამრჩა. ვითხოვ, რომ ეს ფული ქალის ქვრივობლებს დაურიგონ.

„ყველა ჩემ მეგობრებს უთხარი, რომ იმათი ნატვრის შესრულებისათვის თავი შევსწირე; ყველა იმათი სურვილი იყო, რომ ჩვენში მშვიდო-

современное стремленіе“ — თ. რამაზ ანდრონიკოვისა.

ამ დღეებში ამ წიგნის შესახებ უფრო დაწვრილებით მოველაპარაკებით მკითხველებს.

„დროების“ კორრესპონდენცია

—

გორი, 12 ნოემბერს. რუსულ თეატრის რეპერტუარში, მახსოვს, არის ერთი პიესა „**Довольно**“, რომელშიაც ცოლ-ქმარნი ხშირად ჩხუბობენ მის გამო, რომ ქმარი ხშირად ლოთობს. სხვათა შორის ამათა ჰყავთ ნათლია, რომელმაც იცის ამათი უსიამოვნება. ეს ნათლია ნათლი-დედას არიგებს, უნდა მოითმინოო, და როდესაც ნათლი-დედამ უპასუხა: — რა ვქნა, ვერ მოვითმენიაო, მაშინ ნათლიამ ურჩია: როცა შენი ქმარი შემოვიდეს, ნურას ეტყვი, პირში წყალი ჩაიყენე, რაც უნდა სთქვას, ხმას ნუ გასცემო. ერთხელ შემოვიდა ქმარი მთვრალი. დედა-კაცს ნათლიის დარიგება მოაგონდა, ჩაიგუბა პირში წყალი და შესცქერის ქმარსა, რომელიც ეჩხუბება და ლანძღავს თავისებურად. გაბეზრდა დედა-კაცი ყურებით, მოთმინებიდგან გამოვიდა, გაებერა ლოყები, ადგა და შეაფურთხა ქმარს პირში ნადგომი წყალი და მერე მიჰყო ამანაც პირი.

ასეა ჩემი საქმეც: ვითმინე, უყურე ჩვენი ქალაქის მდგომარეობას, ბოლოს გულმა ვერ გამიძლო, რომ არა ვსთქვა-რა.

წარსულს წელიწადში პირველი იყო რომ ბორში ფარნების ანთება დაიწყეს; ფანრების ანთების იჯარადრობა შეხვდა ეროს საწყალს ქართველს პატარა ჩინოვნიკს, ვითომ ჩვენში ფული უნდა მოეგო. უთქვამთ: „ქართველის დუქანი და სომხის გუთანი არ გაგონილაო!“ ან რა სავაჭროა ასოცის ფანრის ბორში ანთება!

დაიწყო იმ მოიჯარადრემ ფანრების ანთება თუ არა, წააყარეს და წაიყარეს აქტები, ღამე არ გამოუშვეს, რომ აქტი არ შეედგინათ ბ.ბ. სამოქალაქო ბამგეობის წევრებსა; ხან უთხრეს: ექვსის სანთლის თანასწორ უნდა ანათებდეს თვითეული ფანარიო, ხან უთხრეს: რომ დანიშნულს დროზედ ვერ ანთებო და ამაებით გააბეზრეს. რის ვაი-ვაგლახით შეასრულა წელიწადი, კიდეც წაადო არამც თუ მოიგო, ადგა და გაეცალა.

ახლა წელს ზაფხულიდგან შეიძინეს ახალი მოიჯარადრე ვიღაც ბართან ტერიკიანცია თუ ტერიკოვი, რომელიც არამც თუ ექვსის სანთლის თანასწორ ანთებს ფანრებს, ნეტავი ერთის სანთლის ტოლას ანათებდეს, ისიც კარგი იქნებოდა! მერე ისეთის მეხანიკურის ხერხითაა მომართული ასანთები, რომ ხალხის ფეხი მიწყდა თუ არა, (აქ თუ ათ საათზედ არა, თერთმეტზედ მაინც მომეტებული ნაწილი ხალხისა მოსვენებას მიეცემა) და ფანარიც თვითონ ჩაქრება; ანთება ხომ დანიშნულს დროზედ სრულებით არ იქნება ამისაგან.

ახლა ვკითხოთ ქალაქის ბამგეობას — თუ რატომ ხმას არა სცემს ბ. ტერიკოვს? რა დააშავა საწყალმა ადრინდელ მოიჯარადრემ ამის უარესი, რომ აკტებით ჩააქვავეს? ერთხელ თურმე კი უთხრეს ბ. ტერიკოვს ამ უწესოებაზედ, რომ აგრე ნუ სჩადიხარო, თორემ აქტს შეგიდგენთო; მაგრამ ტერიკოვმა ისე იკადნიერა, რომ ბიმგეობის წევრებთან და პოლიციის პრისტავს ტ—ევსაც კი უთხრა: რა აქტები, რის აქტები, თქვენი აქტებიო!... და ამას ყურადღება არავინ მიაქცია, არ ვიცი რა უფლების პატრონია ეს ტერიკოვი ამ საიჯარო საქმეში?

აგერ მოახლოვდა საქალაქო ბამგეობაში ხმოსანის არჩევის დრო. ბევრი ემზადება მოიპოვოს ხმა და მოექცეს ხმოსანად. ასე გასინჯეთ მღვდელიც კი ემზადება, — ნეტავი შეგვატყობინა აქვს მღვდელს უფლება გამგეობაში ხმოსნად ყოფნისა, თუ არა?*) თუ ხმოსნად იქნება, შეიძლება რომ თავობაც შეხვდეს; უცხო იქნება ანაფორიანი თავი!!!

ვეძებე და იქნება მე ვერ ვიპოვნე; ეს კი სჩანს საქალაქო ბაგეობის წესდებაში (მუხლი 21), რო უკეთუ ეკკლესიას ეკუთვნის უძრავი მამული და იქიდგან ქალაქის სასარგებლოდ შედის რამე, მაშინ ეკკლესიას შეუძლიან დანიშნოს თავის მხრით წარმომადგინებელი.

ეს კი ვერსად ვიპოვნე, რომ ჩვენის ძმებს და გაეთხოვებიოსთ სხვა ქალაქში, ამ ძმებს არც გათხოვებისა დროს და არც გათხოვების შემდეგ არც ვაჭრობა და არც უძრავი მამული ჰქონდესთ და სიძისათვის კი ხმა მიეცესთ! ამის მაგალითი აქ მოხდა: ამ ზაფხულს აქედგან გათხოვდა ერთი ქალი ტფილისის მცხოვრებელს ი. ბ. ფისალოვზედ და როგორც სჩანს ბამგეობისაგან შედგენილის სიიდამ ხმა მიუციათ ერთის მღვდლის მეცადინეობით, რომელსაც იმ ქალის და ჰყავს ცოლად. არავინ იცის რა აზრია? მაშ, რადგან ასეა, რამდენიც ქალი ბორიდგან ქალაქში გათხოვილა, ყველას უნდა ხმა ჰქონდეს!

ბორელი.

*) ვქვს, კანონით აღკრძალული არ არის. მოსკოვის სამოქალაქო რჩევაში ერთი მღვდელი ხმოსნად არის ამორჩეული; ერთიც ქუთაისში ვიცით ამგვარი შეთხვევა: ტერ-დავით იარალიანცი (იქაური სომხის მღვდელი) ხმოსანია.

რედ.

წერილები რედაქტორთან

—

სენაკის მომრიგებელ მოსამათლის კანცელარიაში შვიდი წლის შეტანილი საჩივრები და თხოვნები ჰყრია ერთად განურჩეველი. ამაზედ ბევრჯელ თქმულა, მაგრამ ყურადღება არავის მიუქცევია.

რისთვის ვერ აუსრულებიათ? მისთვის, რომ მთელ კანცელარიაში არ არის გამოცდილი მოსამსახურე სასამართლოს წესისა, გარდა სეკრეტარისა და იმის თანაშემწისა. მწერლები სულ ახალ შამოსრულნი არიან, რომელნიც მსახურებენ ცხრა-ათი თვე უჯამაგიროთ, ხანდისხან წელიწადზედ მეტიც; ბოლოს მოსძულდებათ უიმედო სამსახური და თავს ანებებენ; ამათ მაგიერი ისევ ანბანის მოსწავლენი შემოდიან. მოსამართლეს რა ზარალი აქვს? შვიდი-რვა მწერალი ათი თვე და წელიწადიც უჯამაგიროთ ამუშავოს და ამათ უცოდინაროობისა გამო საწყალი სეკრეტარი და მისი თანაშემწე თავის პირ-და-პირ მოვალეობას დააკლას!.. რომელი ღარიბი მწერალი, რომელსაც თვეში 7—8 მან. ეძლევა, მოითმინეს დილიდამ საღამომდისინ სასამართლოში იმუშაოს და თავისი ჯამაგირი მეორე თვემდისინ კიდევ ვერ მიიღოს!? მაგ. ოკტობმრის ჯამაგირს მიიღებენ ოცს დეკემბერში, ისიც დიდის ხვეწნით. უკანასკნელი საწერი ქაღალდი, ურომლოთაც კანცელარიაში ვერაფერს გააკეთებს მწერალი და ყოველ მინუტში სჭირდება, ბ. მოსამართლის ხელიდამ გამოდის. როცა საქმეების გარჩევა (სხდომა) დანიშნულია, რასაკვირველია, დილიდამ საღამომდისინ სხედან და მუშაობენ და როცა უქმეა, საქმეებს აწყობენ; ასე რომ მათთვის ღმერთს უქმი არ დაუწესებია!..

ამისთანა მდგომარეობაშა არიან სენაკის მომრიგებელ მოსამართლის კანცელარიის მოსამსახურენი. თვითონ სუდიას ვერაფერს უბედავენ; კიდეც რომ რამე უთხრან, რას გამოიტანენ, და სხვა არავინ გამოჩნდა...

ი. ჭ.

ბიანობა დამყარებულიყო. მაგრამ შემდეგ ეს უფრო ადვილად მოსალოდნელია.

„მშვიდობით, გთხოვთ, ნუ დამივიწყებთ.“

შარლოტა კორდე.

—

ჩემს მამას.

„მომიტევეთ, ჩემო საყვარელო მამა, რომ თქვენს უნებურად და უკითხავად განვაგე ჩემი სიცოცხლე. მე მგონია, რომ ბევრი უმანკო მხვერპლი დავიცევი, ბევრს ავაცდინე თავ ვიდამ უბედურება; ახლა მწუხარე ხალხი მალე გაიგებს და გაიხარებს — თუ რა დიდი და სასიკეთე მნიშვნელობა ექმნება იმისთვის ერთის მტარვალისაგან განთავისუფლებას.

„იმედი მაქვს, არ შესწუხდები ჩემს ბედზე. თუ დაგჭირდება, მცველებს ცაში იპოვნი.

„მშვიდობით, ჩემო კარგო მამა! გთხოვ დამივიწყოთ და გაიხარო ჩემის ბედით. თქვენ იცნობთ თქვენს ქალს: ცუდის განზრახვით ის არასოდეს არ ჩაიდენდა ამისთანა საქმეს.

„ჩემს პატარა დას და ყველა ჩემ ნათესავებს გადავკოცნი. მშვიდობით!“

შენი შარლოტა.

—

ამ წერილების წაკითხვის შემდეგ შ. კორდემ სთხოვა სასამართლოს თავს-მჯდომარეს, თქვენ დამპირდითო, რომ ამ ბარათებს თავის დანიშნულებით გარდავსცემთო და იმედი მაქვს, შემისრულებთ ამ თხოვნასო.

პროკურორმა წარმოსთქვა გამამტყუენებელი სიტყვა, რომელშიაც სთქვა, რომ დანაშაულობა თვითონ ბრალდებულმა აღიარა და სასამართლოს ახლა მხოლოთ კანონის მოთხოვნილობის შესრულება ჰმართებსო.

ბრალდებულის დამცველმა შოგომ ცოტა ილაპარაკა; საზოგადო აზრი ამის სიტყვისა ის იყო, რომ საქმის გარემოებიდამაც ცხადად აღმოჩნდაო, რომ ეს საქმე რწმენის, საზოგადო სარგებლობის თავისებურად გაგების საქმეა, ფანატიკოსსავით სჯეროდა ბრალდებულს, რომ მარას მოკვლით ის საფრანგეთს დაეხმარებოდა, ათას სხვად მსხვერპლს დაიხსნიდა განსაცდელისაგან. ეს იყო განზრახვა ბრალდებულისა. ახლა თქვენ, მოსამართლენო, განსაჯეთ — თუ სასჯელის ღირსია ამგვარ საქმის ჩამდენი ადამიანი.

შ. კორდე. (მიუბრუნდება თავის დამცველს). გმადლობთ ამ გვარად დაცვისათვის. თქვენ სწორედ ის გამოთქვით, რაც მე გულში მქონდა.

მოსამართლეებმა ყველამ ერთ ხმით გარდაწყვიტეს: მარი-შარლოტა კორდე სიკვდილით დაისაჯოს და ყველა იმის ქონება ხაზინის სასარგებლოდ ჩაირაცხოს.

ამის შემდეგ ბრალდებული სასამართლოდგან ისევ საპყრობილეში წაიყვანეს, სადაც, ცოტა ხანს შემდეგ გაუგზავნეს მღვდელი აღსარების სათქმელად. შ. კორდემ ამ სიტყვებით გამოისტუმრა ის: — წადით და მადლობა უთხარით იმათ, ვინც ჩემის სულისათვის ზრუნავს. თქვენი ლოცვა კურთხევა მე არ მეჭვირება...“

როდესაც შ. კორდე თავის მოსაკვეთად მიჰყავდათ ეშაფოტზე, გზაზე, ხალხი ტაშს უკრავდა იმას და „ბრავო“-ს ეძახოდა. შ. კორდემ მხოლოთ მწარე ღიმილით გამოაჩინა თავის შინაგანი მღელვარება. თვით ეშაფოტზე იმას სრულიად მშვიდობიანი და წყნარი სახე ჰქონდა.

ბოლოს შავ-ბედითის ვილიოტინის დიდმა დანამ გაიელვა ჰაერში და შ. კორდეს თავი ერთის თვალის დახამხამებაში მოაცილა სხეულსა. ერთმა ვიღაც ლეგრომ თმაში წაავლო ხელი შ. კორდეს თავს, უჩვენა ხალხს და ამ დროს რამდენიმე სილა შემოარტყა.....

ამ საზარელ მოქმედებამ შეაძრწუნა ხალხი და მღელვარება შეიქნა..... მეორე დღეს ამ საქმისათვის სასამართლომ სასტიკად დასაჯა ის მხეცი ლეგრო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცხადებანი

ბრანაკის ზეთის

ფაბრიკა ს. ე. ელებროდოვისა

ამითი აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ ახალ ფაბრიკაში ვაკეთებული **ბრანკანსკის** ზეთი ფუთი 16 მანეთად ისყიდება, ადგილობრივი, **კავკასიის** ზეთი კი ფუთი 12 მანეთად. **ვერიმალად** ზეთი ისყიდება **სოლოლაკის** ქუჩაზე, **შაკიევის** მაღაზიაში, ღენ. **სუმბათოვის** სახლებში, და ნარდათ, პარტიობით კი **მღებროვის** საკუთარს მამულში **ერევნის** ქუჩაზე, სახლის № 16.

ვინც ქალაქს გარეშე ადგილებიდამ დაიბარებს ამ ზეთს, მოთხოვნიბას მსწრაფლად და ბეჯითად შეუსრულებთ. ვინც ნარდათ, პარტიობით ისყიდის ბლომად, იმათ 10% დაეთმობა 100 მანეთის საქონელზე.

ამას გარდა აქვე ისყიდება **კაპტონი**, ზეთის ნახადი, რომელიც ასუქებს ყოველ გვარ შინაურ საქონელს, ფუთი 1 მახ.

(5—1)

მთავარი კანტორა დანდობით ამხანაგობისა

„იაგორ კასუმოვი და ამხ.“

ერევნის მოედანი ბ. ჯაყელის სახლი.

ყიდულობს და ჰყიდის ყოველ ნაირ სარგებლიან ქაღალდებს; იძლევა სესხს სარგებლიან ქაღალდების და 5% მოგებითი სესხის ბილეთების გირაოთი ერთიდამ 12 თვემდე. სესხის გადახდა შეიძლება ერთად ანუ თვე-და-თვე გადახდით.

სხვა ბანკებში დაგირავებულნი % ქაღალდები შეიძლება **კანტორამ** გამოიყიდოს და თვითონვე დაიგირავოს სესხის მომატებით.

სხვა ქალაქებში და **ტფილისის** მიდამო სოფლებში მცხოვრებ მოვალეთა შეუძლიათ % ქაღალდები ფოსტით გამოგზავნონ **კანტორის** სახელობაზედ, და **კანტორა** დაუყოვნებლივ გაუგზავნის მათ ნაუწყი ადრესით ფულებს და ვასხებითი ხელშეკრულობას.

კანტორა იღებს ფულებს, რომელზედაც იძლევა, პირობათა გამოცლამდე:

1) შემონახულებათა ანგარიშებისამებრ და მოთხოვნილებამდე — —	4½	წელიწადში
საპირობო ანგარიშისასამებრ — — —	5 —	
2) 6 თვით ვადით შეტანილ ფულზე —	5½ —	
12) თვის — — —	7 —	
ერთი წლის მეტით —	8 —	

3) **საგანგებო** პირობებით შემოტანილ ფულზე **ამხანაგობის** 1 ხარისხის პაის პატრონთა. — 9 —

შემოტანილ ფულების % ანგარიში წელიწადში ორჯელ მოხდება, სახელდობრ: 30 ნოემბერს და 31 მაისს; ვადით შემოტანილ ფულებზე კი, შემომტანთ სურვილისამებრ, შეიძლება % თავიდამვე გადახდილ იქმან.

კანტორაში შეტანილი ფულის თანხა, თუ შემომტანის სურვილი იქნება, ვადის გასვლამდინაც შეიძლება დაბრუნებულ იქმნას: მოთხოვნისა 10 დღის შემდეგ, სარგებლის გამოთვლით წლიური 5 % ზომით, იმაზე უფრო ბევრი რასაც **კანტორა** იძლევა შემოტანისთანავე,

სხვა ქალაქებში და **ტფილისის** მიდამო სოფლებში მცხოვრებთ ფულის შემომტანლებს, რომელთაც შესანახავად ფულის შემოტანა სურთ, შეუძლიათ ისინი ფოჩტით გამოგზავნონ და იმათ იმწამსვე გაეგზავნებათ სათანადო მოწმობა.

ამხანაგობაში მყოფ პირებს, ვექსილებით სესხების მიცემის დროს, ცნობილ პირთა თავდებით, **კანტორა** ახდევინებს:

თვე-და-თვე გადასახადად სესხზედ — — — —	10	%
კვირაში ერთხელ —	9 —	

ვადამდე გადუხდელობით სესხი მიეცემა ფირმასთან საგანგებოდ შეთანხმებით.

ყიდის მოგებიან 5 % ბილეთს ორივე სესხისას, შემოსატან ვადასახადის დროებით; ამასთანავე ბილეთის მყიდველს და ხვედრი ფულის ამ რიგად გადამხდელს, მონაწილეობა ექნება მოგებაში, რომელიც შეიძლება ერთი წლის განმავლობაში ხვდეს იმ 20 ნომრებს, რომელიც მოხსენებულია მოწმობაში, ოთხ ტირაჟში.

ილებს შეკვეთას **ოდესის** ექვსსხვა-და-სხვა ნაირ მშვენიერ თვისების ხარისხის ფქვილზე, ხორბალზე, ქერზე, დიკაზე და სხვ. და სხვ. ზომიერ ფასებით. **ამ** საზოგადოებათა ნიმუშების ნახვა შეიძლება **მთავარ** ანტორაში.

სრული და დაწვრილებითი ცნობანი და ახსნა საქმისა, მსურველთ შეუძლიანთ ყოველ დღე დილის 9—დამ 2—მდე; დღესასწაულობით და კვირაობით დილის 8—დამ 10 სათამდე.

(10—7)

ტფილისში

შავერდოვის გაზეთის საგენტო

(ბოლოვინის პროსპექტი, **ალექსანდროვის** ბაღთან, **შავერდოვის** პავილიონში.)

დაიწყო ხელის-მოწერის დრო 1881 წლისათვის

ყველა დრო-გამოშვებითი გამოცემებზე **რედაქციისგან** გამოცხადებულ ფასებით: ადგილობრივზე, **რუსულზე** და **სამზღვარ**—**გარეთისაზე.**

ბ.ბ. ქალაქ **გარეშე** მცხოვრებელთ ამ ადრესით **უნდა** ინებონ **მომართვა: Въ Тифлисъ, въ газетное агентство В. Шавердова.**

(25—8)

ინგლისის მაღაზიაში

თმის ამოსაგდები მაკ-ფასფერი

ამაგრებს თმას **და** ადრინდელ **ფერს** აძლევს, **ფასი** ერთი **შუშისა** 2 **მან.**, **გაგზავნით** 2 **მანეთი** **და** 28 **კაპ.**

აქვე ისყიდება **ქინის** ზომადა **თმების** **გასამაგრებლად.** **ფასი** 1 **მან.** **სჩოტკები** **თავის** **ტკივილის** **მოსასპობლად**, **ტუალეტის** **საპონი**, **დუხები** **და** **სხვ.**

(150—10)

ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ფასი—1 ს. 10 კ. | | |